საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„კეისრული“

„კეისრული“, დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, სამეგრელო, გურია) ფართოდ გავრცელებული პოლიფონიური (სამხმიანი), მხნე, ომახიანი სიმღერა. ასრულებს მამაკაცთა გუნდი. ხმათა რთული კონტრაპუნქტული შეხამებითა და მკვეთრი რიტმით „კ." ლაშქრულს ჩამოგავს.

ლიტ.: კ ო კ ე ლ ა ძ ე გრ. (შემდგ.), ქართული ხალხური სიმღერა, I, თბ., 1979; ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ელ. (შემდგ.), ქართული ხალხური სიმღერების კრებული (იმერეთი), თბ., 1971.

გ. ჩხიკვაძე